# 14. დისერტაციის შეფასება

14.1. დისერტაციის შეფასების კრიტერიუმებია: • საკვლევი თემის აქტუალობა და სიახლე; • კვლევის მეთოდების გამოყენების სათანადო დონე; კვლევის საგანთან და ობიექტთან მათი შესაბამისობა; • მეცნიერების მოცემული დარგის განვითარებაში დისერტანტის მიერ შეტანილი წვლილი.
14.2. სამეცნიერო დისკუსიის დასრულების შემდეგ სადისერტაციო კომისია დახურულ სხდომაზე აფასებს სადისერტაციო ნაშრომს ფარული კენჭის ყრით, რაზეც დგება ოქმი (სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის ხელმოწერით).
14.4. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარის ხმას.
14. 5. სადისერტაციო ნაშრომი ფასდება შემდეგნაირად:
ა) (P) – დაიცვა; ბ) (F) – ვერ დაიცვა.
14.6. დისერტაციის დადებითად შეფასების (P) შემთხვევაში საბოლოო შეფასება ხდება შემდეგი სისტემის მიხედვით, რომელიც გასაჩივრებას არ ექვემდებარება:
 **summa cum laude** - ფრიადი ( შეფასების ასქულიან სისტემაში შეესაბამება 91-100 ქულას)
 **magna cum laude** - ძალიან კარგი (შეფასების ასქულიან სისტემაში შეესაბამება 81-90 ქულა)
 **cum laude** - კარგი (შეფასების ასქულიან სისტემაში შეესაბამება 71-80 ქულას)
 **bene** - საშუალო (შეფასების ასქულიან სისტემაში შეესაბამება 61-70 ქულას)
 **rite** - დამაკმაყოფილებელი (შეფასების ასქულიან სისტემაში შეესაბამება 51-60 ქულას).

14.7. სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე დოქტორანტს კომისიის დასაბუთებულ გადაწყვეტილებას აცნობს ზეპირად.
14.8. სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე სადისერტაციო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს სადისერტაციო ნაშრომის ერთ ეგზემპლართან ერთად შემდეგ დოკუმენტებს:
 რეცენზენტის წერილობითი დასკვნები ხელმოწერილი და ფაკულტეტის ბეჭდით დადასტურებული,
 დისერტაციის დაცვის ოქმი დისერტანტის საპასუხო სიტყვებით (თავმჯდომარისა და მდივნის ხელმოწერით და ფაკულტეტის ბეჭდით დადასტურებული)
 დისერტანტის ბანკბარათი

ჩამოთვლილი დოკუმენტები სადისერტაციო საბჭოს სხდომამდე, რომელზედაც დასმული იქნება საკითხი ამ სადისეტაციო კომისიის დასკვნის დამტკიცების თაობაზე, უნდა ინახებოდეს სადისერტაციო ან დარგობრივი სექციის მდივანთან და ხელმისაწვდომი უნდა იყოს გასაცნობად სადისერტაციო საბჭოს ყველა წევრისთვის.

14.9. დისერტაცია არ ითვლება დაცულად, თუ სადისერტაციო საბჭოს საბოლოო შეფასება იქნება (F) – ვერ დაიცვა. ასეთ შემთხვევაში დისერტანტს ეძლევა უფლება სათანადოდ გადამუშავებული ნაშრომი ერთი წლის შემდეგ თავიდან წარადგინოს დასაცავად. დადებითი შეფასების შემთხვევაში აღიძვრება შუამდგომლობა სადისერტაციო საბჭოს წინაშე დისერტანტისთვის დოქტორის ხარისხის მინიჭების თაობაზე;
14.10. დოქტორანტის განცხადება განმეორებითი დაცვის მოთხოვნის შესახებ სადისერტაციო საბჭოს წარედგინება შედეგის გამოცხადებიდან ერთი თვის განმავლობაში.